

# სოციალური თეორიები: საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის

## რას შეისწავლის სოციოლოგია?

1. სოციოლოგია: პრობლემები და პერსპექტივები.
2. სოციოლოგიური კითხვები: ფაქტოლოგიური, შედარებითი, განვითარების საკითხები და თეორიული.
3. რა შეუძლია სოციოლოგიას თქვას ჩვენს ქმედებებზე?
4. სოციალური სტრუქტურა და ადამიანის ქმედებები.
5. სოციოლოგიური მსოფლმხედველობის განვითარება.
6. ნიელ სმელზერი: თეზისები სოციოლოგიის არსის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** სოციოლოგია, სოციალური სტრუქტურა, საღ აზრზე დამყარებული წარმოდგენები, სოციალური კვლავწარმოება, სოციალური ტრანსფორმაცია, სოციალური წარმოსახვა, ფაქტოლოგიური საკითხები, შედარებითი საკითხები, შედარებითი საკითხები, განვითარების საკითხები, ანთროპოლოგია, პოზიტივიზმი, ემპირიული კვლევები, თეორიული საკითხები, წინასწარგანუსაზღვრელი შედეგები, თვითშემეცნება, მნიშვნელოვანი ქმედება

სოციოლოგია მოწოდებულია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი თანამედროვე ინტელექტუალურ კულტურაში და სოციალურ მეცნიერებებში დაიკავოს ცენტრალური ადგილი. უნდა დადგინდეს სოციოლოგიის ძირითადი პერსპექტივები და პრობლემები.

**ძირითადი თემები. პირველი თემა – სოციალურისა და პიროვნულის მიმართებაა.** სოციოლოგიური აზროვნება მნიშვნელოვანი დახმარებაა თვითშემეცნებისათვის, რომელიც ამავე დროს გვიბრუნდება სოციალური სამყაროს უკეთესი გაგებით. სოციოლოგიის შესწავლა უნდა იყოს განთავისუფლების მცდელობა: სოციოლოგია ანვითარებს ჩვენს ჩვევებსა და წარმოსახვას, გვისახავს ახალ პერსპექტივებს ჩვენი აქტიურობის წყაროების გაგებაში და აღრმავებს ჩვენს უნარს ჩვენი საკუთარისაგან განსხვავებული კულტურის აღქმაში. რამდენადაც სოციოლოგიური მოღვაწეობა დოკუმენტის გამოწვევაა ის გვასწავლის დავაფასოთ კულტურული

განსხვავებულობა და გვეხმარება დავინახოთ სოციალური ინსტიტუტების შინაგანი მექანიზმები. სოციოლოგიური მოღვაწეობა ქმნის შესაძლებლობებს ადამიანური პიროვნებისა და თავისუფლების განვითარებისათვის.

**მეორე თემა – ცვალებადი სამყარო.** სოციოლოგია აღმოცენდა დასავლეთის სოციალური წყობის ინდუსტრიული ტრანსფორმაციის შედეგად, რამაც მნიშვნელოვნად გამოიწვია წინა საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი ფორმების ცვლილებები. ინდუსტრიალიზაციის პროცესით შექმნილი სამყარი წარმოადგენს სოციოლოგიური ანალიზის პრობლემურ ობიექტს. სოციალური ცვლილებები გრძელდება და შეიძლება ჩვენ ვდგევართ ისეთი ფუნდამენტური ცვლილებების წინაშე როგორცაც ქონდა ადგილი XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნეში. სოციოლოგიის უპირველესი ვალია ასახოს წარსულში მომხდარი ცვლილებები და დაიჭიროს დღევანდელი ცვლილებების მიმართულებები.

**მესამე, წიგნს ახასიათებს თანმიმდევრული შედარებითი მიდგომა.** სოციოლოგიის შესწავლა არ შეიძლება წარმართოს მხოლოდ რომელიმე საზოგადოების ინსტიტუტების შესწავლის გზით. ეს გაწონასწორებულია სხვა საზოგადოებებისა და კულტურების შესახებ მოყვანილი მდიდარი მასალით. აქ იგულისხმება გამოკვლევები, რომლებიც ტარდებოდნენ დასავლეთის სხვა ქვეყნებში, ასევე რუსეთსა და აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებთან დაკავშირებულ მასალებს. შეუძლებელია ინდუსტრიული საზოგადოებების შესწავლა მესამე სამყაროსაგან დამოუკიდებლად გარდა ამისა ვამახვილებ ყურადღებას სოციოლოგიისა და ანთროპოლოგია კავშირზე, პრობლემებზე, რომლებიც საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მთელს მსოფლიოში საზოგადოებებს შორის არსებული კავშირისა და ასევე ტრადიციული სოციალური სისტემების მრავალი ფორმების გაქრობის გამო კავშირი სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიას შორის უფრო განუყოფელი ხდება.

**მეოთხე, წიგნში აღიარებულია სოციოლოგიაში ისტორიული ორიენტაციის აუცილებლობა.** ეს უფრო მეტს ნიშნავს ვიდრე მოვლენების „ისტორიული კონტექსტის“ ხაზგასმა. ასეთი სახის ინფორმაცია აუცილებელია, რამეთუ სტუდენტთა მიერ ისტორიის, თუნდაც უახლესის, ცოდნა ძალზე შეზღუდულია. უკანასკნელი წლების სოციოლოგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციად მოგვევლინა ისტორიული ანალიზის აღორძინება. ის უნდა იქნას გაგებული არა როგორც მხოლოდ სოციოლოგიური მსოფლმხედველობაზე დაყრდნობა წარსულზე მსჯელობისას, არამედ უნდა განიხილებოდეს როგორც თანამედროვე ინსტიტუტების გაგების საფუძველი.

მესუთე, გამორჩეული ყურადღება ეთმობა *გენდერის პრობლემას*. გენდერული მიმართებების პრობლემა იმდენად ფუნდამენტურია სოციოლოგიური ანალიზისათვის, რომ არ შეიძლება დაყვანილ იქნას დისციპლინის ერთ ქვედანაყოფზე, ამიტომ წიგნის მრავალი თავი შეიცავს გენდერის პრობლემისადმი მიძღვნილ განყოფილებებს.

**მეექვსე, წიგნის ძირითადი თემაა – საზოგადოებრივი ცხოვრების გლობალიზაცია.** მზარდი გლობალიზაციის გავლენა ნაკლებადაა შესწავლილი სოციოლოგიის სპეციალურ ლიტერატურაშიც კი, და იგნორირებულია თითქმის ყველა კურსების შესავალში. ამ წიგნში აქცენტი გლობალიზაციაზე მჭიდრო კავშირშია იმ მნიშვნელობასთან, რომელიც ეძლევა პირველ, მეორე და მესამე სამყაროების ურთიერთკავშირს.

**ამგვარად,** სოციოლოგია გთავაზობთ ადამიანური ქცევის გაგების ცხად და ნათელ პერსპექტივას. სოციოლოგიის შესწავლით ჩვენ ვმალდებით სამყაროს საკუთარ ინტერპრეტაციაზე, რათა დავინახოთ ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელი სოციალური ზემოქმედება. ამავე დროს სოციოლოგია არც უარყოფს და არც ამცირებს ინდივიდუალური გამოცდილების მნიშვნელობას. პირიქით, ჩვენ ვცდილობთ უკეთ გავიგოთ ჩვენი თავი და სხვა ადამიანები, ამით საკუთარ თავში ვანვითარებთ იმ სოციალური სინამდვილის კოსმოსის აღქმას, რომელში თავად ვართ ჩართული.

სოციოლოგიის შესწავლა – ეს არის თვითშემეცნების პროცესის ნაწილი და ამიტომ შეუძლებელია მისი შესწავლა თუ საჭირო შემთხვევაში არ დაუპირისპირდი საკუთარ ცნობიერებაში ზოგიერთ, ღრმად გამჯდარ შეხედულებებს.

## **სოციოლოგია: პრობლემები და პერსპექტივები.**

სამყაროში მუდმივი ცვლილებებია, რატომ განსხვავდებიან ჩვენი ცხოვრების ვითარებები ასე ძლიერ ჩვენი წინამორბედების ვითარებებისაგან? რა მიმართულებით წარიმართებიან ცვლილებები მომავალში? ეს საკითხები პირველ რიგში აინტერესებს სოციოლოგიას, დისციპლინას, რომელიც მოწოდებულია ითამაშოს ფუნდამენტური როლი თანამედროვე ინტელექტუალურ კულტურაში.

**სოციოლოგია** – ესაა ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების, ჯგუფებისა და საზოგადოების შესწავლა. ეს მშვენიერი გამაოგნებელი საქმიანობაა, რომლის საგანია ადამიანების, როგორც სოციალური არსებების ქცევის კვლევა. სოციოლოგიის

სამოქმედო არე უკიდურესად ფართოა, დაწყებული ქუჩაში ადამიანთა შემთხვევითი შეტაკებებიდან და დამთავრებული გლობალური სოციალური პროცესების გამოკვლევებით. ზოგიერთი მაგალითი მოგვცემს პირველ წარმოდგენებს მისი ბუნებისა და მიზნების შესახებ.

## რას იკვლევს სოციოლოგია? რამდენიმე მაგალითი.

**სიყვარული და ქორწინება.** რატომ უყვართ ადამიანებს ერთმანეთი და რატომ ქორწინდებიან? ერთი შეხედვით პასუხი ნათელია. სიყვარული – ეს არის ადამიანების ერთმანეთთან ფიზიკური და სულიერი ურთიერთტოლვა. შეიძლება, დღეს ბევრი ჩვენგანი სკეპტიკურად აღიქვამს აზრს, რომ არსებობს „მარადიული“ სიყვარული; მაგრამ „შეყვარებულობა“ (მიჯნურობა) ალბათ განეკუთვნება ადამიანის ყველაზე ამაღელვებელ გრძნობებსა და ემოციებს. პიროვნული და სექსუალური თვითგამოვლენის ძიება შეყვარებული წყვილის ურთიერთობაში არის ისეთივე ბუნებრივი, როგორც მათი სურვილი ქონდეთ ერთი საცხოვრებელი.

მაგრამ ეს, პირველი შეხედვით სავსებით ცხადი მსჯელობა სინამდვილეში სულაც არ არის ტრივიალური. სიყვარული სულაც არ იყო ყველა დროისათვის დამახასიათებელი და იშვიათად იყო დაკავშირებული ქორწინებასთან. ახლო წარსულამდე რომანტიკული სიყვარული სულაც არ იყო გავრცელებული დასავლეთში და არც სხვა კულტურებში არსებობდა. მხოლოდ ჩვენს დროში ჩათვალეს, რომ სიყვარული, ქორწინება და სექსუალობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შუასაუკუნეებსა და შემდგომ ეპოქებში ადამიანები ქორწინდებოდნენ ძირითადად იმიტომ, რომ შეენარჩუნებინათ ტიტული ან საკუთრება ოჯახის ხელში, ან იმიტომ, რომ ყოლოდათ შვილები, რომლებიც დაეხმარებოდნენ შრომაში. დაქორწინებულები შეიძლება გამხდარიყვნენ ახლო მეგობრები, მაგრამ ეს ხდებოდა ქორწინების შემდეგ და არა მანამდე. სექსუალური კავშირები არსებობდნენ ქორწინების გარეშეც, მაგრამ ისინი არ შეიცავდნენ იმ გრძნობებს, რომელთაც ჩვეულებრივ ვაკავშირებთ სიყვარულთან. სიყვარული, „უკეთეს შემთხვევაში ითვლებოდა გარდუვალ სისუსტედ, უარეს შემთხვევაში კი სენის ნაირსახეობად.“(1).

რომანტიკული სიყვარული პირველად ჩნდება დიდგვაროვნულ წრეებში, როგორც ქორწინებაგარეშე სექსუალური თავგადასავლების განსაკუთრებული ნიშანი. XVIII საუკუნის ბოლომდე ის გვხვდება მხოლოდ აღნიშნულ წრეებში და არავითარ შემთხვევაში არ არის გაიგივებული ქორწინებასთან. არისტოკრატიულ გარემოში

დამოკიდებულება ცოლსა და ქმარს შორის უფრო ხშირად არის ცივი და განსხვავებული, განსაკუთრებით იმასთან შედარებით თუ რას ველოდებით ჩვენ დღეს ქორინებისაგან. შეძლებული ადამიანები ცხოვრობდნენ დიდ სახლებში, ყოველ მეუღლეს აქვს თავისი საწოლი ოთახი და მსახურები; ერთმანეთს ძალზე იშვიათად ხვდებოდნენ. სექსუალური შესატყვისობა ოჯახში შემთხვევის საკითხია და სულაც არ ითვლებოდა აუცილებლად. როგორც მდიდრებს, ისე დარიბებს შორის ქორწინების საკითხი წყდებოდა ოჯახის ან ნათესავების მიერ, და არა თვით ინდივიდების მიერ, რომელთა უფლებები წყვილების შერჩევაში ძალზე მცირე ან სულაც არ იყო. (ჩვენს დროში დღემდე ასეა ზოგიერთ არადასავლურ კულტურებში).

ამგვარად, არც რომანტიკული სიყვარული და არც მისი კავშირი ქორწინებასთან არ უნდა აღვიქვათ, როგორც ადამიანის ცხოვრებისათვის „თავიდან მოცემული“, ისინი ჩამოყალიბდნენ ძლიერი სოციალური გავლენის შედეგად. სოციოლოგი შეისწავლის ამ გავლენის ხასიათს, და, როგორც ჩანს, საკუთარი გამოცდილების საფუძველზეც. უმრავლესობა ჩვენთაგან სამყაროს ხედავს საკუთარი ცხოვრებისეული სახეებით. სოციოლოგია ხედავს აუცილებლობას უფრო ფართოდ შევხედოთ იმას, თუ რატომ ვიქცევით ჩვენ ასე და არა სხვაგვარად.

**ჯანმრთელობა და ავადმყოფობა.** ჩვეულებრივ, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ ჯანმრთელობასა და ავადმყოფობაზე მხედველობაში გვაქვს სხეულის მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობა. ადამიანი გრძნობს ტკივილს ან რაღაც სისუსტეს. როგორ შეიძლება ეს დაკავშირებული იყოს სოციალურ ზემოქმედებასთან? სინამდვილეში კი სოციალური ფაქტორები ძლიერ მოქმედებენ ავადმყოფობის გაჩენასა და მის მიმდინარეობაზე, იმაზეც, თუ როგორი რეაქცია გვაქვს ჩვენ, როცა თავს ცუდად ვგრძნობთ. ჩვენი ჩვეულებრივი წარმოდგენები ავადმყოფობის შესახებ, როგორც წარმოქმნილი სხეულის ფუნქციონალური დარღვევების მიერ, არ არის გაზიარებული და მიღებული სხვა საზოგადოებების წამომადგენლების მიერ. ზოგიერთ კულტურებში ავადმყოფობა და სიკვდილიც კი განიხილება როგორც შედეგი მტრული წყევლისა და ფიზიკური მიზეზების შესწავლას არ ექვემდებარება.(2) დასავლეთის კულტურაში ქრისტიანული მოძღვრება უარყოფს ზოგადმიღებულ წარმოდგენებს ავადმყოფობაზე, ვარაუდობს, რომ ადამიანის ბუნება სულიერია და გამოსატავს ღვთის სახეს, ავადმყოფობა კი მოდის უვიცობიდან და მცდარობიდან.

რამდენ ხანს იცოცხლებს ადამიანი, რამდენად რეალურია საშიშროება რომელიც ემუქრება გულ-სისხლძარღვებით, კიბოთი და პნემონიით დაავადებულ ადამიანებს – ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება სოციალური ფაქტორებით. რაც უფრო განვითარებულია კულტურა მით უფრო ნაკლებია ალბათობა, რომ ადამიანი დიდხანს იქნება შეწუხებული სერიოზული დაავადებებით. გარდა ამისა არსებობს გარკვეული ზოგადმიღებული წესები, რომლებიც გვასწავლიან თუ როგორ უნდა მოიქცეს ავადმყოფი. ავადმყოფს უფლება აქვს თავი აარიდოს ზოგიერთ ან ყველა ყოველდღიურ მოვალეობას, მაგრამ სენი უნდა იქნეს აღიარებული „საკმაოდ სერიოზულად“, რომ ქონდეს პრეტენზიები ამ პრივილეგიებზე. ის ვინც მხოლოდ სუსტადაა, ან ვისი ავადმყოფობა არაა დადგენილი შეიძლება სიმუღლიანტადაც კი მიიღონ და არ ექნება მოვალეობებისადმი თავის არიდების უფლება.(3).

**სხვა მაგალითები: დანაშაული და სასჯელი.** ქვემოთ მოთხრობილი საშინელი ამბავი გვამცნობს იმ ადამიანის უკანსკნელ საათებს, რომელიც სიკვდილით დაისაჯა 1757 წელს საფრანგეთის მეფე ფილიპეს მოსაკლავად შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. განაჩენით იმ უბედურს ამოგლიჯეს ხორცი მკერდზე, ხელებზე და ფეხებზე და ჭრილობებზე ასხამდნენ ადუღებული ზეთის, სანთლისა და გოგირდის ნაერთს. შემდეგ მისი სხეული დაანაწევრეს, დაგლიჯეს ცხენების საშუალებით, ხოლო ნაგლეჯები დაწვეს. დარაჯთა ოფიცერმა მომხდარზე შემდეგი ანგარიში შეადგინა.

*ჯალათმა ბორკილები ჩაუშვა მდულარე ნაერთში, რომელსაც ბლომად ასხამდა ყოველ ჭრილობაზე. შემდეგ ხელებით და ფეხებით გამოაბეს ცხენებზე. ცხენებმა გაქაჩეს სხვადასხვა მხარეს. მეოთხედი საათის შემდეგ ცხენებს ადვილები შეუცვალეს და პროცედურა რამოდენიმეჯერ გაიმეორეს. ორი თუ სამი ცდის შემდეგ ჯალათმა სამსონმა და მისმა დამხმარემ აიღეს დანები და ძვლებამდე დააჭრეს ხორცები ბარძაყებზე, ცხენებმა კვლავ გაქაჩეს; შემდეგ იგივე გააკეთეს მკლავებზეც. ცხენებმა კვლავ ძლიერ გაქაჩეს და დააგლიჯეს ჯერ მარჯვენა და შემდეგ მარცხენა ხელი. (4).*

მსხვერპლი ცოცხალი იყო იმ წუთამდე სანამ კიდურები მთლიანად არ მოწყვიტეს ტორსს.

თანამედროვე პერიოდამდე ასეთი სასჯელი არ იყო უხვეულო რამ. აი როგორ აღწერს ჯონ ლოფლენდი დასჯის ტრადიციულ საშუალებებს.

*შორეულ ისტორიულ წარსულში სასჯელი გათვლილი იყო მოკვდინების პერიოდის მაქსიმალურად გაგრძელებაზე და ისე, რომ დასჯილს ცნობიერება არ უნდა დაეკარგა.*

გაჭყლელა მკერდზე დადებული წონის თანდათანობით მომატებით, ბორბალზე გამობმა, ჯვარცმა, ჩამოსრჩობა, კოცონზე დაწვა, ძელების დაფშვნა, ნაწილებად დახლეჩა, აგრეთვე სხვა საშუალებები საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ჩამოსრჩობაც კი ისტორიის დიდი პერიოდის განმავლობაში ნელი პროცესი იყო. როდესაც დასჯილს გამოაცლიდნენ ურიკას ან იხსნებოდა ლუკის თავი, დასჯილი ნელ-ნელა იგუდებოდა, სიკვდილამდე რამოდენიმე წუთი იგრიხებოდა. ზოგჯერ ჯალათი დასჯის დაჩქარების მიზნით ჩადიოდა დაბლა და განწირულს ფეხებზე ექაჩებოდა. (5)

ხშირად დასჯაზე ხალხმრავლობა იყო – ეს პრაქტიკა ზოგიერთ ქვეყნებში XVIII საუკუნემდე გრძელდებოდა. განწირულებს ღია ურიკებით დაატარებდნენ ხალხმრავალ ქუჩებში რათა მათ ტაშით ან სტვენით გამოეხატათ მსხვერპლისადმი თავიანთი დამოკიდებულება. ჯალათები ისევე პოპულარულები იყვნენ როგორც ჩვენს დროში კინოვარსკვლავები.

დღეს დასჯის ასეთი საშუალებები საზიზღრობად გვეჩვენება. ჩვენთაგან ცოტა ვინმე თუ გაიგებს თუ როგორ შეიძლება მიიღი სიამოვნება იმის გამო, რომ ვიღაცას აწამებენ ან სიკვდილით სჯიან, რა დანაშაულის არ უნდა ჩაედინა ადამიანს. დასჯის ჩვენი სისტემა ეფუძნება საპყრობილეში დატუსაღებას და არა ფიზიკური ტკივილის მიყენებას; დასავლეთის უმეტეს ქვეყნებში სიკვდილით დასჯა აკრძალულია. რატომ შეიცვალა დასჯის ფორმები? რატომ შეიცვალა საპყრობილემ დასჯის ადრე არსებული მკაცრი ფორმები?

მაცდუნებელია პასუხი, რომ ადამიანები წარსულში უფრო მკაცრები იყვნენ, მაშინ როდესაც ჩვენ უფრო ჰუმანურები ვართ. მაგრამ სოციოლოგისათვის ასეთი პასუხი არადამაჯერებელია. ძალადობის საჯარო გამოყენება, როგორც დასჯის საშუალება ევროპაში საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. ადამიანების მიერ ასეთ მოვლენებზე თავიანთი დამოკიდებულის გადახედვა მოხდა არა ერთბაშად და არა შემთხვევით, აქ ადგილი ქონდა სიღრმისეულ სოციალურ გავლენას, რაც დაკავშირებული იყო იმ პერიოდში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებთან. ევროპულმა საზოგადოებებმა დაიწყეს ინდუსტრიალიზირება და ურბანიზირება. ძველი ცხოვრების სოფლური წესები თანდათანობით გამოდევნა სწრაფად მზარდმა ქალაქებმა თავიანთი ფაბრიკებითა და ქარხნებით. ქალაქის მოსახლეობაზე სოციალური კონტროლის უზრუნველყოფა უკვე შეუძლებელი იყო დაშინების ძველი ფორმების საშუალებებით, რომლებიც მისაღები იყო მხოლოდ მცირე ზომისა და მჭიდროკავშირებიან საზოგადოებებში, სადაც მოვლენებიც ცოტა იყო.

საპრობილემები იქმნებოდა, როგორც დაწესებულებათა სისტემის ნაწილი, სადაც ადამიანები ეყოლებოდათ იზოლირებული, რომ გაეკონტროლებინათ და მოეწესრიგებინათ მათი ქცევები. მათ შორის ვინც ჩაკეტილი ყავდათ იყვნენ არა მხოლოდ დამნაშავეები, არამედ მაწანწალები, ავადმყოფები, უსაქმურები, გონებაჩლუნგები და გიჟები. საპრობილემე გვიან გამოეყო საავადმყოფოებსა და საგიჟეებს. ვარაუდობდნენ, რომ ციხეში დამნაშავეებს წესიერ მოქალაქეებად ჩამოაყალიბებდნენ. დანაშაულზე სასჯელი ორიენტირებული იყო კეთილსინდისიერი მოქალაქის ჩამოაყალიბებაზე და არა იმის დემონსტრაციაზე თუ რა საშინელი შედეგი მოყვება არაკეთილსინდისიერ ქცევას. სასჯელის ჰუმანიზირება, რასაც ჩვენ ვხედავთ, შედეგია სოციალური ცვლილებებისა და არა მათი გამომწვევი. ცვლილებები დამნაშავეებთან მიმართებაში იყო იმ პროცესების ნაწილი, რომლებმაც უკუაგდეს ტრადიციული წესრიგი, საუკუნეების განმავლობაში რომ იცავდნენ ადამიანები.

**დასკვნები: სოციოლოგიის არსი.** ჩვენ შეგვიძლია აქამდე განხილული მაგალითების განზოგადება. ყოველივეში იმ სამი მაგალითიდან – სიყვარული, ქორწინება და სექსუალობა, ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, დანაშაული და სასჯელი – ჩვენ ვნახეთ, რომ გრძნობები და ემოციები, რომლებიც ჩვენ გვეჩვენება ადამიანისათვის „ბუნებრივ მონაცემებად“, სინამდვილეში ექვემდებარებიან სოციალურ ფაქტორებს. დახვეწილი, მაგრამ რთული და სიდრმისეული საშუალებების გაგება, რომლებითაც ჩვენი ცხოვრება ასახავს ჩვენი სოციალური გამოცდილების კონტექსტებს, არის სწორედ სოციოლოგიური მსოფლმხედველობის საფუძველი. სოციოლოგიას განსაკუთრებით აინტერესებს სოციალური ცხოვრება *თანამედროვე სამყაროში*, უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში საზოგადოებებში მიმდინარე ცვლილებები.

## **სოციოლოგიური კითხვები: ფაქტოლოგიური, შედარებითი, განვითარების საკითხები და თეორიული.**

**ფაქტოლოგიური კითხვები.** იმ კითხვათაგან, რომლებსაც სოციოლოგები აყენებენ და რომლებზეც ცდილობენ გასცენ პასუხები, უმრავლესობა არის *ფაქტოლოგიური* კითხვები. რამდენადაც ჩვენ ვართ საზოგადოების წევრები, ამდენად ჩვენ გვაქვს გარკვეული რაოდენობის ფაქტობრივი ცოდნა მის შესახებ. მაგალითად, ყოველმა იცის, რომ არსებობენ კანონები, მათი დაცვა აუცილებელია, მათი დარღვევა ნიშნავს სისხლის სამართლის დანაშაულს. ამავე დროს ცოდნა, რომელიც აქვს ძირითად



ნაწილს კანონმდებლობის შესახებ, უმეტეს შემთხვევაში ფრაგმენტარული და არასრულია. სამართალდამცავებსაც სჭირდებათ დანაშაულების ზოგიერთი ასპექტების უშუალო და სისტემატური სოციოლოგიური გამოკვლევა. მაგალითად, შეიძლება დაისვას კითხვა: რა ფორმის დანაშაულია ყველაზე მეტად გავრცელებული? დამნაშავეთა რა ნაწილს აკავებს პოლიცია? საბოლოოდ რამდენი მათგანი გასამართლდება და მოხვედება საპრობილეში? ფაქტოლოგიური კითხვები ხშირად მოსალოდნელზე უფრო რთულია და ძნელად პასუხგასაცემი. მაგალითად, კრიმინალური აქტიურობის რეალური დონის დასადგენად ოფიციალური სტატისტიკის მონაცემების როლი საკმაოდ საჭკოვ ღირებულებისაა.

**შედარებითი კითხვები.** საჭკოვა, რომ ერთი რომელიმე საზოგადოების შესახებ ფაქტობრივმა ინფორმაციამ მოგვცეს სრული სურათი იმის შესახებ უჩვეულო შემთხვევათუ მოვლენათა გარკვეული წესრიგი. ხშირად სოციოლოგები ესწრაფვიან დასვან *შედარებითი* კითხვები, სადაც შედარებულია ერთი საზოგადოების კონტექსტი მეორესთან, ან მოყვანილია კონტრასტული მაგალითები სხვადასხვა საზოგადოებებიდან. მაგალითად, ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის კანონმდებლობებში მნიშვნელოვანი განსხვავებებია. ტიპური შედარებითი კითხვაა: როგორ განსხვავდებიან ამ ორ ქვეყანაში კრიმინალური ქცევის მოდელები და სამართალდამცავი ორგანოების ქმედებები? (რამდენიბე არსებითი განსხვავება მართლაც იქნა გამოვლენილი).

**განვითარების კითხვები.** სოციოლოგებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არსებული საზოგადოებების შესწავლა, ასევე მნიშვნელოვანია წარსულისა და აწმყოს შედარება. სოციოლოგების მიერამ მიზნით დასმულ კითხვებს *განვითარების კითხვები* ეწოდება. თანამედროვე სამყაროს ბუნების გასაგებად ჩვენ უნდა ჩავიხედოთ ადრინდელ საზოგადოებებრივ ფორმებში, ასევე შევისწავლოთ მათი განვითარების ძირითადი მიმართულებები. ჩვენ ამგვარად შევძლებთ გამოვიკვლიოთ თუ როგორ გაჩნდნენ პირველი საპრობილეები – თემა, რომელსაც ზემოთ შევეხეთ.

**თეორიული კითხვები.** ფაქტოლოგიური არუ, როგორც სოციოლოგიაშია მიღებული *ემპირიული* გამოკვლევები დაკავშირებულის იმის ანალიზთან თუ როგორ მიმდინარეობს მოვლენები. მაგრამ სოციოლოგიის ამოცანა განა მხოლოდ ფაქტების შეგროვებაა, რაც არ უნდა საინტერესო იყონ ისინი. ჩვენ გვინდა ასევე ვიცოდეთ *რატომ*

არის ასე და ამიტომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ თეორიული საკითხების დაყენება. ისინი დაგვეხმარებიან მიზეზების ძიების დროს იმ ფაქტების სწორად ინტერპრეტაციაში, რომლებიც ექცევიან კონკრეტული კვლევის ფოკუსში. ჩვენ ვიცით, რომ ინდუსტრიალიზაციამ ბევრად განაპირობა თანამედროვე საზოგადოების ფორმირება. მაგრამ როგორია ინდუსტრიალიზაციის წყაროები და წინამძღვრები? რატომ ვავლენთ განსხვავებებს იმ საზოგადოებებში, რომლებმაც განიცადეს ინდუსტრიალიზაციის პროცესი? რატომ იწვევს ინდუსტრიალიზაცია ცვლილებებს დამნაშავეებისა და სასჯელის სფეროში ან ოჯახისა და ქორწინების კუთხით? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მათ უნდა მივუდგეთ *თეორიულად*. თეორია გულისხმობს აბსტრაქტული ინტერპრეტაციების კონსტრუირებას, რომლებიც შეიძლება გამოგვადგინენ სხვადასხვა ემპირიული სიტუაციების ასახსნელად. მაგალითად, ინდუსტრიალიზაციის თეორიამ უნდა განსაზღვროს ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ინდუსტრიულ განვითარებას და აჩვენოს თუ რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოების განვითარებისათვის. რა თქმა უნდა არაა საჭირო ფაქტოლოგიური და თეორიული საკითხების ერთმანეთისაგან დაცილება. თეორიული მიდგომა დაფუძნებულია ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ შევძლებთ მის შემოწმებას ემპირიული გამოკვლევებით.

თეორია გვეხმარება ფაქტების გააზრებულად აღქმაში. მცდარია გავრცელებული თვალსაზრისი, რომ „ფაქტები თავად მეტყველებენ თავიანთ თავზე“. სოციოლოგთა უმრავლესობა, პირველ რიგში, დაკავებულია ემპირიული გამოკვლევებით, მაგრამ თუ თავის ძიებებში ისინი არ ხელმძღვანელობენ თეორიით, მათი შრომა არ იძლევა შესასწავლი ობიექტის მიზეზების შესაძლო ახსნას. ამასა აქვს ადგილი მაშინაც, როდესაც გამოკვლევა ტარდება წმინდა პრაქტიკული მიზნებით.

**ადამიანის ქმედებების წინასწარგანსაზღვრული და წინასწარგანუსაზღვრელი შედეგები.** სოციოლოგები აღნიშნავენ ქმედების მიზნებს შორის განსხვავების მნიშვნელობას – როდესაც ჩვენ რაიმეს ვაკეთებთ წინასწარგანზრახულად – და *წინასწარგანუსაზღვრელ შედეგებს*, რასაც ქმედება გვაძლევს. ამ გზით სიარულით შეიძლება ბევრი რამ გავიგოთ საზოგადოების განვითარების შესახებ. მაგალითად, სკოლები არსებობენ იმისათვის, რომ ბავშვებს მისცენ ახალი ცოდნის მიღების შესაძლებლობა. მაგრამ სკოლების არსებობას აქვს შედეგები, რომელთა პროგნოზირება შეუძლებელია. გარკვეულ ასაკამდე სკოლა უკრძალავს ბავშვებს შრომის ბაზარზე

გასვლა. სასკოლო სისტემა, განსაზღვრავს რა მოწაფეთა მომავალ სამუშაო ადგილებს მათი აკადემიური მოსწრებების შესაბამისად ხელს უწყობს უთანასწორობს ზრდას.

**რა შეუძლია სოციოლოგიას თქვას ჩვენს ქმედებებზე?** როგორც ინდივიდებმა ჩვენ საკმაოდ ბევრი ვიცით საკუთარი თავისა და იმ საზოგადოების შესახებ, რომელშიც ვცხოვრობთ. ჩვენ მივეჩვიეთ ფიქრს, რომ კარგად გვესმის თუ რატომ ვიქცევით ასე და არა სხვაგვარად, და არ ვსაჭიროებთ სოციოლოგების კარნახს! გარკვეული დოზით ეს სწორიცაა. უმრავლესობა ჩვენი ყოველდღიური ნაბიჯებიდან ეფუძნება არსებული სოციალური შეთანხმებების ჩვენს გაგებას. და მაინც არსებობს ასეთი თვითშემეცნების გარკვეული საზღვრები და სოციოლოგიის ერთ-ერთი ამოცანაა – აჩვენოს, რომ ისინი არიან.

სოციოლოგიური გამოკვლევები დაგვეხმარებ განვსაზღვროთ ჩვენი სოციალური მსჯელობების საზღვრები და თან შეგვისწოროს ჩვენი ცოდნა ჩვენსა და სოციალური გარემოს შესახებ.

სოციოლოგიის მეორე მნიშვნელოვანი წვლილი მდგომარეობს მტკიცებაში, რომ თუმცა ჩვენ ვიცით უდიდესი ნაწილი იმისა რასაც ვაკეთებთ ან არ ვაკეთებთ, მაგრამ ხშირად გვაქვს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჩვენი საქმიანობის შედეგების შესახებ.

ქმედებების გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი შედეგები ზემოქმედებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტსა და კონტექსტზე.

სოციოლოგიური ანალიზი იკვლევს სოციალური სამყაროს გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ მოვლენათა შორის ძნელადშესამჩნევ კავშირებს.

**სოციალური სტრუქტურა და ადამიანის ქმედებები.** მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომელიც გვეხმარება სოციალური კავშირების გაგებაში არის *სოციალური სტრუქტურის* კონცეფცია. ჩვენი სოციალური გარემო არ არის მოვლენებისა და ქმედებების მოუწესრიგებელი ჯამი. ადამიანთა ქცევებში, ურთიერთობებში, რომლებშიც ისინი შედიან, შეიმჩნევა სიღრმისეული რეგულარობა. ამ რეგულარობასთანაა დაკავშირებული სოციალური სტრუქტურის იდეა. გარკვეული აზრით საზოგადოების სტრუქტურული მახასიათებლები სამართლიანია აღიწეროს შენობებთან ანალოგიით. შენობას აქვს იატაკი, კედლები, სახურავი, რომლებიც აძლევენ მას გარკვეულ ფორმას. მოყვანილი მეტაფორა არ უნდა აღვიქვათ ნამეტანი სიზუსტით, შეიძლება საკითხის არსი დაგვეკარგოს. სოციალურ სტრუქტურას ქმნის ადამიანის ქმედებები და ურთიერთობები;

სტრუქტურის მდგრადობა, მათი სისრულე გაპირობებულია მათი დროსა და სივრცეში *განმეორებადობით*. ამგვარად, სოციოლოგიური მიდგომის ჩარჩოებში სოციალური კვლავწარმოებისა და სოციალური სტრუქტურის იდეები მჭიდრო კავშირშია. ამიტომ შეგვიძლია ჩვენ საზოგადოება შევადაროთ *ნაგებობებს, რომლებიც ყოველთვის კვლავიქმნიებიან იმავე აგურებით, რომელთაგანც თავად შედგებიან*. ყველა ჩვენი ქმედებები ექვემდებარებიან საზოგადოების სტრუქტურულ მახასიათებლებს, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ და ვცხოვრობთ, ამავე დროს ჩვენივე ქმედებებით ჩვენ თვით ვქმნით (და გარკვეული დოზით ვცვლით) ამ სტრუქტურულ მახასიათებლებს.

**სოციოლოგიური მსოფლმხედველობის განვითარება.** სოციოლოგიური აზროვნების შესწავლა ნიშნავს წარმოსახვის გაძლიერებას. სოციოლოგიის შესწავლა შეუძლებელია მიმდინარეობდეს, როგორც ცოდნის მიღების რუტინული პროცესი. სოციოლოგი – ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია განთავისუფლდეს უშუალო პიროვნული ვითარებებისაგან. სოციოლოგის შრომა, ჩარლზ რაიტ მილსის ცნობილი ფრაზის თანახმად დამოკიდებულია *„სოციოლოგიურ წარმოსახვაზე“*.

სოციოლოგიური წარმოსახვა, პირველ რიგში, გულისხმობს *უნარს „განუდგე“ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულ რუტინას, რათა მის მიღმა ახლებურად გადაიხედო*. განვიხილოთ უმარტივესი აქტი – ფინჯანი ყავის დალევა. რა უნდა თქვა სოციოლოგიური თვალსაზრისით ამ, ჩვენი ქცევის უმნიშვნელო ფრაგმენტზე? პასუხი ძალზე ბევრია.

პირველ რიგში შეგვიძლია მივუთითოთ, რომ ეს არის დასაღვევი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში სითხის აუცილებელი დოზის შენარჩუნებას. მას, როგორც ყოველდღიურ სოციალურ რიტუალს აქვს *სიმბოლური მნიშვნელობა*. თანაც ყავის სმასთან დაკავშირებულ რიტუალს მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე თვით ყავის დალევის აქტს. მაგალითად, ორ ადამიანს, რომლებიც აპირებენ „ფინჯანი ყავის დალევას“ უფრო შეხვედრა და ჭორაობა იზიდავთ, ვიდრე ყავის სმა. საკვები და დასაღვევი ყველა საზოგადოებაში – ეს არის რიტუალების შესრულება და სოციალური ურთიერთქმედება და ამიტომ არის მდიდარი თემა სოციოლოგიური კვლევისათვის.

მეორე, ყავა – ეს არის ტვინის მასტიმულირებელი კოფეინის შემცველი ნარკოტიკი.

მესამე, ყავის ფინჯანის მიღმა დგას მთელი მსოფლიოს მომცველი *სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების ურთულესი სისტემა*.

ბოლოს, ყავის დაღვევის სიამოვნების მიღმა დგას *სოციალური და ეკონომიკური განვითარების დასრულებული პროცესი*.

სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარება ნიშნავს არა მხოლოდ სოციოლოგიური, არამედ ანთროპოლოგიისა (ტრადიციული საზოგადოებების შესწავლა) და ისტორიის მასალების გამოყენებას. *ანთროპოლოგიური* მიმართულება ძალზე მნიშვნელოვანია სოციოლოგიური წარმოსახვის განვითარებისათვის, რადგან გვაძლევს საშუალებას დავინახოთ სოციალური ცხოვრების განსხვავებული ფორმების კალეიდოსკოპი. მათი შედარებით ჩვენს ცხოვრებასთან ჩვენ ვიგებთ ჩვენი ქცევის უნიკალურობის შესახებ. ასევე ფუნდამენტურია სოციოლოგიური წარმოსახვის *ისტორიული* მიმართულება: ჩვენ შეიძლება ჩავწედეთ დღევანდელი ბუნებას მხოლოდ მისი წარსულთან შედარებით. წარსული – ეს არის სარკე, რომელშიც ჩახედვით სოციოლოგი შესძლებს დაინახოს თანამედროვეობა. ორივე შემთხვევაში იგულისხმება ჩვენი „განდგომა“ საკუთარი ჩვევებისაგან – მათი უფრო ღრმად შესასწავლად.

სოციოლოგიური აზრის თავისუფალი სწრაფვა შესაძლებლობაა ჩაწვდეს არა მხოლოდ იმას, რაც *ხდება*, არამედ იმასაც რაც *მოხდება*, როდესაც ჩვენ ასე თუ ისე მოვიქცევით. ჩვენი მცდელობა გავლენა ვიქონიოთ მომავალზე უშედეგო იქნება თუ არ დავვერდნობით არსებული ტენდენციების განვითარების სოციოლოგიურ გაგებას.

## **სოციოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა.**

**სოციალური სიტუაციების გაგება.** სოციოლოგია მრავალი კუთხით ახდენს გავლენას ჩვენს ცხოვრებაზე. სოციოლოგიური აზროვნებისა და გამოკვლევების ჩართვა პრაქტიკულ პოლიტიკასა და სოციალურ რეფორმებში რამოდენიმე გზით ხორციელდება. ყველაზე უშუალო საშუალებაა – *სოციალური სიტუაციის* უფრო ნათელი და უფრო სწორი გაგების უზრუნველყოფა. ეს შეიძლება გაკეთდეს ფაქტობრივი ცოდნის დონეზე ან უფრო სწორი გაგების მიღწევით, თუ *რატომ* ხდება რაღაც (სხვა სიტყვებით, თეორიული დასაბუთების გზით). მაგალითად, გამოკვლევამ შეიძლება აჩვენოს, რომ სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილი, ვიდრე ითვლება. ცხოვრების ნებისმიერი სტანდარტების გაუმჯობესების მცდელობას წარმატება ექნება იმ შემთხვევაში თუ ის ეფუძნება ზუსტ და არა მცდარ ინფორმაციას. რაც უფრო მეტი ვიცით ჩვენ იმის შესახებ თუ რატომ რჩება სიღარიბე ასე გავრცელებული, მით უფრო ალბათურია რომ განხორციელდება ეფექტური ქმედებები.

**კულტურული განსხვავებების აღქმადობა.** მეორე გზა, რომლითაც სოციოლოგი შესძლებს დაეხმაროს პრაქტიკულ პოლიტიკას – ეს არის დახმარება საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფების მიმართ მეტი *კულტურული აღქმადობის* ფორმირებაში. სოციოლოგიური გამოკვლევა ქმნის შესაძლებლობას სოციალურ სამყაროს შეხედო, როგორც კულტურული პერსპექტივების ნაირსახეობას და ეს წაადგება სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთობებში ცრურწმენების დაძლევის პროცესს. არ შეიძლება ჩაითვალოს განათლებულ პოლიტიკოსად, თუ არა გაქვს დახვეწილი წარმოდგენა კულტურული ღირებულებების განსხვავების შესახებ. პრაქტიკულ პოლიტიკას, რომელიც არ ეფუძნება მათი ცხოვრების წესის ცოდნას, ვიზუც არის ორიენტირებული, წარმატების ნაკლები შანსი აქვს. მაგალითად, სოციალური სფეროს თეთრკანიანი მოსამსახურე, რომელიც მუშაობს ბრიტანული ქალაქის დასავლეთინდურ სექტორში, ვერ დაიმსახურებს მცხოვრებთა ნდობას, თუ არ აღიქვამს არსებულ კულტურულ განსხვავებას, რომელიც ბრიტანეთში ხშირად განასხვავებს თეთრ და შავკანიანებს.

**პოლიტიკური ქმედებების შედეგების შეფასება.** მესამე, სოციოლოგიურ გამოკვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს *პოლიტიკური ინიციატივების შედეგების შეფასებისას*. შეიძლება პოლიტიკური გარდაქმნების პროგრამამ ვერ მიაღწიოს დასახულ მიზნებს, ან გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი არასასურველი ხასიათის შედეგები. მაგალითად, ომის შემდეგ, მრავალი ქვეყნის ქალაქების ცენტრალურ უბნებში აშენდნენ დიდი კომუნალური სახლები. ვარაუდობდნენ ცუდ პირობებში მყოფი დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისათვის აქმაღლებინათ ცხოვრების სტანდარტები; აქვე აპირებდნენ განეთავსებინათ სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრები. მაგრამ გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ თავიანთი საცხოვრებლებიდან მაღალ სახლებში გადასახლებულები თავს იზოლირებულად და უბედურებად გრძნობდნენ. მაღლივები და სავაჭრო რაიონები მალე მოიშალნენ და კარგი ნიადაგი შეუქმნეს ჯგუფურ ხულიგნობსა და სხვა სერიოზული დანაშაულს.

**თვითშემეცნების გადრმავება.** მეოთხე, და ეს ალბათ ყველაზე მთავარია, სოციოლოგიას შეუძლია საზოგადოებრივ ჯგუფებს მისცეს სერიოზული ცოდნა საკუთარი თავის შესახებ, გაზარდოს მათი თვითგაგება. რაც უფრო მეტი იციან ადამიანებმა საკუთარი მოღვაწეობის პირობების შესახებ, იმის შესახებ თუ როგორ ფუნქციონირებს საზოგადოება, მეტია იმის ალბათობა, რომ ისინი შესძლებენ გავლენას

საკუთარ ცხოვრებისეულ ვითარებებზე. არასწორი იქნება სოციოლოგიის პრაქტიკული როლი გაავივივოთ ასისტენტის როლთან პოლიტიკოსისა და პოლიტიკური ჯგუფებისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ძალაუფლების მფლობელთაგან ყოველთვის არ არის მოსალოდნელი არაპრივილეგირებულ ფენებზე ზრუნვა. მაღალი დონის თვითცნობიერების ჯგუფებს შეუძლიათ სამთავრობო ჩინოვნიკებისა და სხვა გავლენიანი პერსონების ქმედებებზე ეფექტური რეაგირება, შეუძლიათ წინ წამოსწიონ საკუთარი პოლიტიკური ინიციატივები. ურთიერთდახმარებების ჯგუფები (მსგავსად „ანონიმური ალკოჰოლიკებისა“) და საზოგადოებრივი მოძრაობები (მაგალითად, ქალთა მოძრაობები) იმ საზოგადოებრივი ასოციაციების მაგალითებია, რომლებიც პირდაპირ მოითხოვენ პრაქტიკულ რეფორმებს (იხ. თავი 9, „ჯგუფები და ორგანიზაციები“).

**სოციოლოგის როლი საზოგადოებაში.** ვალდებული არიან თუ არა სოციოლოგები თავადვე დაიცვან და პროპაგანდა გაუწიონ პრაქტიკული გარდაქმნებისა და სოციალური ცვლილებების პროგრამებს? ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ სოციოლოგიას შეუძლია შეინარჩუნოს ობიექტურობა თუ სოციოლოგი შეინარჩუნებს ნეიტრალიტეტს მორალურ და პოლიტიკურ საკითხებში, მაგრამ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოძღვრებები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ დისკუსიებს აუცილებლად უფრო ობიექტურები იქნებიან სოციალური პრობლემების შეფასებაში. არსებობს არსებითი კავშირი სოციოლოგიის შესწავლასა და სოციალური თვითცნობიერების გამოღვიძებას შორის. არცერთი სოციოლოგიასთან ახლო მდგომი ადამიანი არ დარჩება გულგრილი უთანასწორობის მიმართ, რომელიც დღეს არის მსოფლიოში, ბევრ სიტუაციაში სოციალური უთანასწორობის მიმართ, ან მილიონობით ადამიანის უუფლებობასთან დაკავშირებით აიმაღლებს ხმას. საკვირველი იქნება თუ სოციოლოგი არ მიიღებს მონაწილეობას პრაქტიკულ ღონისძიებებში და არალოგიკური და არაპრაქტიკული იქნება შეეცადო აუკრძალო მათ გამოიყენონ თავიანთი სოციოლოგიური გამოცდილება.

### **დასკვნითი კომენტარები.**

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ სოციოლოგია, როგორც დისციპლინა, რომელსაც ახასიათებს ჩვენი და სხვა ადამიანების ყოფის განმსაზღვრელი მვლენების დეტალური შესწავლისათვის, სამყაროს პიროვნული, სუბიექტური ხედვის უკუგდება. სოციოლოგია,

როგორც განსაკუთრებული ინტელექტუალური საქმიანობა აღმოცენდა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ჩასახვის ადრინდელ ეტაპებზე და ასეთი საზოგადოებების შესწავლა პრინციპულია. მაგრამ სოციოლოგიას საქმე აქვს სოციალური ურთიერთქმედებებისა და მთლიანად საზოგადოებასთან დაკავშირებული საკითხების ფართო წრესთან. შემდეგ თავში ჩვენ შევეხებით ადამიანური კულტურის ნაირსახეობებს და ვნახავთ საოცარ განსხვავებებს სხვადასხვა ხალხების ჩვევებსა და ტრადიციებში. ამისათვის ჩვენ დაგვჭირდება ექსპედიცია მსოფლიოს ირგვლის სამოგზაუროდ. ინტელექტუალურ დონეზე ჩვენ გავიმეორებთ ქრისტეფორე კოლუმბის, კაპიტან კუკისა და თავგადასავლების სხვა მაძიებელთა მოგზაურობებს მსოფლიოს ირგვლივ. მაგრამ, როგორც სოციოლოგები ჩვენ ვერ შევძლებთ შევხედოთ ამას მხოლოდ მოგზაურის თვალსაზრისით, როგორც პირველგზამკვლევთა სწრაფვებს, რადგანაც ამ ექსპედიციებმა გამოიწვიეს დასავლური ექსპანსიის პროცესი, რასაც სხვა კულტურებისათვის დრამატული შედეგები მოყვა და გავლენა იქონია მსოფლიოს შემდგომ განვითარებაზე.

### **მოკლე შინაარსი.**

1. სოციოლოგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანური საზოგადოების შესწავლა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებებს.
2. სოციოლოგია აღმოცენდა, როგორც ბოლო 2-3 საუკუნის განმავლობაში მოხდარი ღრმა ცვლილებების გაგების მცდელობა. თანამედროვე სოციალური სამყაროს მნიშვნელოვან ნიშნებს შორის არინიშნება ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზმი და პოლიტიკური სისტემების ახალი ტიპები.
3. მომხდარი ცვლილებები გამოირჩევიან არა მხოლოდ მასშტაბებით. დიდი ცვლილებები იყო აგრეთვე ადამიანური ცხოვრების პიროვნულ და ინტიმურ ასპექტში. ამის მაგალითად გამოდგება რომანტიკული სიყვარულის როლის ზრდა ქორწინების საფუძველზე.
4. სოციოლოგები იკვლევენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, აყენებენ გარკვეულ კითხვებს და სისტემატური გამოკვლევების პროცესში ცდილობენ პასუხების ჩამოყალიბებას. ეს საკითხები შეიძლება იყოს ფაქტოლოგიური, შედარებითი, განვითარების ან თეორიული საკითხები. სოციოლოგიურ გამოკვლევებში გათვალისწინებულ უნდა



იქნას ადამიანთა ქმედებების წინასწარგანსაზღვრული და წინასწარგანუსაზღვრელი შედეგები.

5. სოციოლოგიური საქმიანობა გულისხმობს წარმოსახვითი აზროვნების უნარს და სოციალურ ურთიერთობებზე წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებებისაგან განთავისუფლებას.
6. სოციოლოგია მჭიდრო კავშირშია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. ყველა საზოგადოებრივი მეცნიერებები იკვლევენ ადამიანთა ქცევას, მაგრამ ყურადღებას ამახვილებენ მის სხვადასხვა ასპექტებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავშირები სოციოლოგიას, ანთროპოლოგიასა და ისტორიას შორის.
7. სოციოლოგია არის *მეცნიერება* იმ აზრით, რომ იყენებს კვლევის სისტემატურ მეთოდებს და თეორიებს აყალიბებს არსებულ ფაქტებსა და ლოგიკურ არგუმენტაციაზე დაყრდნობით. მაგრამ შეუძლებელია მისი გაიგივება ბუნებათმეცნიერებებთან, იმიტომ, რომ ადამიანთა ქცევების შესწავლა ფუნდამენტალურად განსხვავდება ბუნებრივი სამყაროს შესწავლისაგან.
8. სოციალური სამყაროს შესწავლაში სოციოლოგები მიისწრაფიან ობიექტურობისაკენ, ცდილობენ კვლევებში იყონ მიუკერძოებელი. ობიექტურობა დამოკიდებულია არა კონკრეტული მკვლევარის მიდრეკილებებზე, მაგრამ დამოკიდებულია გამოკვლევისა და თეორიის საჯარო შეფასებაზე და ეს არის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის არსებითი ნიშანი.
9. სოციოლოგია – ეს არის პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დისციპლინა, აქვს პრაქტიკული გამოყენება. მისი წვლილი სოციალურ კრიტიკასა და პრაქტიკულ სოციალურ რეფორმებში ვლინდება სხვადასხვა მიმართულებით. ჯერ-ერთი, სოციალური ვითარების უკეთ ცოდნა გვაძლევს მისი კონტროლის მეტ შანსს. მეორე, სოციოლოგია ხელს უწყობს ჩვენი კულტურული აღქმადობის ზრდას, საშუალებას გვაძლევს ნებისმიერ პოლიტიკურ აქციებში გავითვალისწინოთ კულტურული ღირებულებების განსხვავება. მესამე, ჩვენ შეგვიძლია გარკვეული პოლიტიკური პროგრამების მიღებისას ვივარაუდოთ მისი (წინასწარგანსაზღვრული და წინასწარგანუსაზღვრელი) შედეგები. ბოლოს, და ეს შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანია, სოციოლოგია ხელს უწყობს თვითშემეცნების განვითარებას, აძლევს ჯგუფებსა და ინდივიდებს თავიანთი ცხოვრების შეცვლის დიდ შესაძლებლობებს.

## ნეილ სმელზერი: თეზისები სოციოლოგიის არსის შესახებ

1. სოციოლოგია – ეს არის საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების შესწავლა. ის მონაცემებს (ფაქტებს) იღებს რეალური სამყაროდან და ცდილობს მათ ახსნას მეცნიერულ ანალიზზე დაყრდნობით. სოციოლოგიამ მეცნიერებად ჩამოყალიბება დაიწყო დაახლოებით ორი საუკუნის უკან.
2. სოციოლოგები იყენებენ რამდენიმე ძირითად მიდგომას. ემოგრაფიული მიდგომა გვაძლევს საზოგადოების დახასიათებას შობადობის, სიკვდილიანობის და მიგრაციის შესწავლის გზით. ფსიქოლოგიური მიდგომა აანალიზებს ადამიანთა ქცევებს, ქცევის მოტივებს, აზრს, სოციალურ განწყობას. ოლექტივისტური მიდგომა გამოიყენება ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესწავლისას. მეოთხე მიდგომა გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების შესწავლას. მეხუთე, კულტუროლოგიური – აანალიზებს ქცევებს კულტურის ისეთ ელემენტებთან კავშირში, როგორებიცაა საზოგადოებრივი ნორმები და ღირებულებები.
3. სოციოლოგია შეისწავლის საზოგადოებას ორ, მიკრო და მაკროდონეზე. მიკროსოციოლოგია ძირითად ყურადღებას უთმობს ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობებს, მაკროსოციოლოგია იკვლევს საზოგადოების ძირითად სტრუქტურებს.
4. მიკროსოციოლოგიურ დონეზე ძირითადი არის სიმბოლური ურთიერთქმედების (ინტერაქციონიზმის) თეორია. ამ თეორიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ადამიანები გარკვეულ მნიშვნელობას (სიმბოლოებს) ანიჭებენ გარე სამყაროს ზემოქმედებას და მეტწილად ამ სიმბოლოებზე რეაგირებენ და არა თვით ზემოქმედებაზე. წარსულის გამოცდილება და ყველას მიერ გაზიარებული, ერთნაირად გაგებულ სიმბოლოები აადვილებენ ურთიერთობებს.
5. მაკროსოციოლოგიურ დონეზე არსებობს ორი თეორია: ფუნქციონალიზმი და კონფლიქტის თეორია. ფუნქციონალისტები საზოგადოებას განიხილავენ, როგორც ურთიერთდაკავშირებული ნაწილების სისტემას, რომელთაგან ყოველივე ახდენს გავლენას მთელის ფუნქციონირებაზე. სხვადასხვა ნაწილების ნორმალური ფუნქციონირების შედეგად ვლდებულობთ მდგრად, ერთიან საზოგადოებას.

კონფლიქტის თეორიის საფუძველს წარმოადგენს მარქსის დებულება, რომ ადამიანები ეკონომიკურ სისტემაში მათი ადგილების შესაბამისად, დაყოფილი არიან კლასებად და კონფლიქტი ამ კლასებს შორის გარდუვალია. კონფლიქტის თეორიის ზოგიერთი თანამედროვე მიმდევარი ძირითად მნიშვნელობას ანიჭებს ძალაუფლების დანაწილების სისტემას და არა ეკონომიკურ განსხვავებას.

6. სოციოლოგიური გამოკვლევა იწყება ჰიპოთეზით – დებულებით, რომელიც ვარაუდობს, რომ ერთი ფაქტი მიზეზშედგობრივად არის დაკავშირებული მეორესთან. თეორია არის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანილი ჰიპოთეზების სისტემა. სოციოლოგიური მეთოდები – ეს არის წესები და საშუალებები, რომლებიც ერთმანეთს გადააბამენ ფაქტებს, ჰიპოთეზებსა და თეორიებს.
7. ცვლადი არის ცნება, რომელმაც შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა. სოციოლოგიის უმრავლესი გამოკვლევა ცდილობს გამოავლინოს რომელიმე გარკვეული მოვლენის ცვლილებები, ეს არის დამოკიდებული ცვლადი, ხოლო შემდეგ ახსნას ეს ცვლილებები სხვა მოვლენებთან კავშირში, ეს არის დამოუკიდებელი ცვლადი.
8. სოციოლოგიური გამოკვლევების ძირითადი მეთოდებია შერჩევითი განხილვა, საველე გამოკვლევა, ისტორიული მეთოდი და ექსპერიმენტი. ამ მეთოდების გამოყენებით მკვლევარი ცდილობს გააკონტროლოს შესასწავლი მოვლენის ყველა შესაძლებელი მიზეზი, იხილავს რა მათ ცალ-ცალკე. ექსპერიმენტის ან სხვა მეთოდით კვლევის დროს სოციოლოგი ამცირებს დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობას.
9. სოციოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია პოლიტიკური კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს მკვლევარის თავისუფლებას, გამოკვლევის შედეგების პუბლიკაციის შესაძლებლობას და გამორიცხავს რეპრესიის მუქარას. სოციოლოგიის განვითარებაზე გავლენა აქვს საზოგადოებრივ პრობლემებსა და კრიზისებს. თავის მხრივ, სოციოლოგების მოღვაწეობა ეხმარება საზოგადოებას პრობლემების დადგენასა და მათდამი ყურადღების გამახვილებაში.
10. სოციოლოგიური ცოდნა საზოგადოებაზე გავლენას შემდეგნაირად ახდენს:
  1. სპეციალისტი სოციოლოგები მუშაობენ სახელმწიფოებრივ და კერძო ორგანიზაციებში;
  2. სოციოლოგების მიერ შემუშავებული მეთოდები გამოიყენება სხვა სფეროებში;

3. სოციოლოგებს შეუძლიათ შეცვალონ ადამიანთა დამოკიდებულება მოვლენებისადმი, ასევე მიაწვდიან ინფორმაციას სოციალური პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად;
4. სოციოლოგიური გამოკვლევები გვეხმარება არსებული სოციალური პოლიტიკის ქმედითობის შემოწმებაში.

### **კულტურა: ძირითადი ელემენტები.**

1. კულტურა არის ცხოვრების ერთიანი წესით შეკრული ადამიანებისათვის საერთო ქცევის წესებისა და სამყაროზე შეხედულებების ღირებულებათა სისტემა. ცხოველთა ქცევა ძირითადად გაპირობებულია ინსტინქტებით ან გენეტიკურადაა დაპროგრამებული, მაშინ, როდესაც ადამიანთა ქცევები მნიშვნელოვანწილად შესწავლის რეზულტატია. ადამიანთა საზოგადოებაში კულტურა ასრულებს იგივე როლს, რასაც ცხოველთა სამყაროში ინსტინქტური ქცევა. კულტურა ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა სოციალიზაციის პროცესში.
2. კულტურას აქვს გავლენა პიროვნების ფორმირებაზე, ე.ი. ის არეგულირებს პიროვნების ქცევას. გარდა სხვა ფუნქციებისა, კულტურა განსაზღვრავს პირობებს სადაც შესაძლებელია მიდრეკილებების დაკმაყოფილება. ადამიანის ქცევაზე კულტურის გავლენის შემზღვეველი ფაქტორებია – ადამიანის ორგანიზმის ბიოლოგიური შესაძლებლობების ზღვარი, გარემომცველი სინამდვილის პირობები და სოციალური წესრიგის მხარდაჭერა.
3. ზოგიერთმა მკვლევარმა, განსაკუთრებით მერდოკმა, მეტი ყურადღება მიაქცია კულტურულ უნივერსალიებს (თვისებებს, რომლებიც ყველა კულტურას ახასიათებს). ხშირად მიაჩნიათ, რომ კულტურული უნივერსალიები გაპირობებულია ბიოლოგიური ფაქტორებით, როგორებიცაა, ძუძუმწოვართა უსუსურობა, საკვების მოთხოვნილება და ა.შ. მაგრამ ადამიანის ქცევაზე მეტ გავლენას ახდენს კულტურული ღირებულებები და ნორმები, რომელც არაფერი აქვთ საერთო ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან, ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ კულტურის სპეციფიკური ასპექტები შეესაბამებიან ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს.
4. ადამიანებს ახასიათებთ მიდრეკილება სხვისი კულტურის შეფასებაში დაეყრდნონ თავიანთ კულტურას, ამ ტენდენციას ეთნოცენტრიზმი ეწოდება. საპირისპირო ტენდენციას კულტურული რელატივიზმი ეწოდება, რომლის თვალსაზრისით

ნებისმიერი კულტურა შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ მისი საკუთარი ღირებულებების ანალიზის საფუძველზე და მისი საკუთარ კონტექსტში.

5. კულტურა იწვევს ერთიანობის, ჯგუფის წევრების იდენტურობის, ერთი თანამეგობრობისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნებას. კულტურა შეიძლება გახდეს ერთი ჯგუფის სხვადასხვა ქვეჯგუფებსა და პიროვნებებს შორის კონფლიქტის მიზეზი, თუ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ემხრობა შედარებით განსხვავებულ ნორმებს.
6. გუდენაუს აზრით კულტურა ოთხი ელემენტისაგან შედგება:
  1. ცნებები, აღნიშნავენ ადამიანის გამოცდილების ორგანიზების წესს;
  2. მიმართება ანუ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს ადამიანთა გამოცდილების სხვადასხვა ასპექტები;
  3. ღირებულებები ანუ ზოგადი შეხედულებები მიზნებზე, რომლისკენაც ადამიანები უნდა მიისწრაფოდნენ;
  4. წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანების ქცევებს და მოყავთ ისინი მათი კულტურის ღირებულებებთან შესაბამისობაში. ინდივიდები იცავენ ნორმებს, ე.ი. ადამიანური ურთიერთობების მოლოდინი ან მოთხოვნები, რომლებიც სანქციებით არის გამაგრებული (მხედველობაშია სოციალური დასჯა ან წახალისება).
7. ენა არის ხმებისა და სიმბოლოების საფუძველზე განხორციელებული კომუნიკაციის, რომელთაც აქვთ პირობითი, მაგრამ მკაცრად სტრუქტურირებული მნიშვნელობა. ენის დაუფლება შეუძლებელია სოციალური ურთიერქმედებების გარეშე; მას აქვს გარკვეული წესები; ის ქმნის და აწესრიგებს გამოცდილებას და ფუქციონირებს იმ მნიშვნელობების საფუძველზე, რომელიც მიღებულია ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების მიერ.
8. იდეოლოგია არის გარკვეული ღირებულებებისა და ფაქტების დამფუძნებელი სისტემა. იდეოლოგია ანხორციელებს მრავალ ფუნქციას. მაგალითად, ემსახურება სოციალური დაძაბულობის შენელებას, რომლებიც თავს იჩენენ მაშინ, როდესაც ადამიანები აღმოაჩენენ, რომ ზოგიერთი, მათ მიერ გაზიარებული ღირებულებები არ შეესატყვისებიან მათ რეალურ ცხოვრებას. იდეოლოგიებს შეუძლიათ აგრეთვე გამოხატონ ან დაიცვან რომელიმე სოციალური ჯგუფების ინტერესები. მარქსიზმის თვალსაზრისით იდეოლოგია ან ამართლებს რომელიმე ჯგუფის

არსებობას ან იბრძვის მის წინააღმდეგ. იდეოლოგია ანიჭებს საზრისს და კანონიერებას ადამიანთა ქცევებს.

9. ერთიანობის გარკვეული ნიშნების გარდა კულტურებს შორის შესაძლებელი განსხვავებები და თავს იჩენენ კონფლიქტები. სოციოლოგებმა გამოავლინეს კულტურის კონფლიქტების რამოდენიმე სახე. ანომია ეწოდება სოციალური ნორმების ბუნდოვანი ხასიათის გამო კულტურის ერთიანობის რღვევას. კულტურული შეყოვნება შეიმჩნევა იმ შემთხვევებში, როდესაც ცვლილებები მატერიალური კულტურის სფეროში წინ უსწრებენ არამატერიალური კულტურის შესაძლებლობებს შეინარჩუნონ შესაბამისობა მატერიალური კულტურის დონესთან. უცხო კულტურის ბატონობას მიყვებართ კულტურების შეჯახების ფორმით გამოვლენილი სხვადასხვა სტრუქტურის მქონე კონფლიქტებისაკენ.
5. მე XX საუკუნისათვის ჩამოყალიბდა კულტურის ორი ძირითადი ფორმა: მაღალი კულტურა, გულისხმობს დახვეწილ ხელოვნებას, კლასიკურ მუსიკას და ლიტერატურას, ის იქმნებოდა და აღიქმებოდა ელიტის წარმომადგენლების მიერ; უბრალო ხალხის კულტურას განეკუთვნებოდა ზღაპრები, ფოლკლორი, სიმღერები, მითები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებამ შექმნა მასობრივი კულტურის გაჩენის შესაძლებლობები, რომელიც ყურადღებას არ აქცევს რეგიონალურ, რელიგიურ ან კლასობრივ სუბკულტურებს.
6. ნორმებისა და ღირებულებების სისტემას, რომელიც განასხვავებს რომელიმე ჯგუფს უფრო ფართო ერთობისაგან, ეწოდება სუბკულტურა. სუბკულტურა არ უარყოფს უმრავლესობის კულტურას, მაგრამ გარკვეული სახით განზე დგას მისგან. კონტრკულტურა არის სუბკულტურის ნაირსახეობა, რომელიც უპირისპირდება გაბატონებულ კულტურას. კონტრკულტურა მიისწრაფვის ჩამოაყალიბოს ნორმები და ღირებულებები, რომლებიც უპირისპირდებიან გაბატონებული კულტურის ძირითად ასპექტებს.
7. ტრადიციულ ამერიკულ ღირებულებებს შორის უნდა აღინიშნოს სწრაფვა პიროვნული წარმატებებისაკენ, აქტიურობა და თავდადებული შრომა, ეფექტურობა და სარგებლიანობა, პროგრესი, მატერიალური კეთილდროება და მეცნიერების პატივისცემა. რისმანსა და მის კოლეგებს მიაჩნიათ, რომ ეს ღირებულებები ექვემდებარებიან ცვალებადობას, რომ ადამიანები სცილდებიან ტრადიციულ „შინაგან კულტურას“ და თანდათანობით შეიმუშავენ „გარეშე ღირებულებების“ სისტემას. ბელმა შეისწავლა ჩვენი საზოგადოების წევრებს შორის

ეგოცენტროზმის ზრდა, რაც იმითაა გაპირობებული, რომ ცხოვრების მრავალი ასპექტი რეგულირდება ინსტიტუტების მიერ, რაც ვერ უზრუნველყოფს საკუთარი „მე“-ს დადგენას.

8. ამერიკელთა ზოგიერთი ღირებულებები წინააღმდეგობაში მოდიან ტექნოლოგიაში მიმდინარე ცვლილებებთან, რესურსების გამოფიტვასთან, მრეწველობისა და ადამიანების კეთილდღეობის დონის კლებასთან. მაგრამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისეთი ღირებულებები, როგორცაა სწრაფვა წარმატებისაკენ, ოპტიმიზმი და თავდადებული შრომა, ღრმადაა გამჯდარი ამერიკულ კულტურაში.

### სოციალური სტრუქტურა:

1. **სტატუსი** ეწოდება ადამიანის პოზიციას საზოგადოებაში გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სტატუსი, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მთავარია, განსაზღვრავს ადამიანის ადგილს საზოგადოებაში. დაბადებიდან მიღებულ სტატუსს *მიწერილი* (თანდაყოლილი) ეწოდება; სტატუსს, რომელსაც შეიძენს რაიმეს განხორციელების შედეგად ეწოდება *მიღწეული*.
2. **როლი** – ეს არის გარკვეულ სტატუსთან დაკავშირებული მოსალოდნელი ქცევა. მოცემული სტატუსისათვის დამახასიათებელი როლების ერთობლიობას *როლური სისტემა* ეწოდება. ჩვენი როლები განსაზღვრულია სხვა ადამიანების მოლოდინით. ზოგიერთი მოსალოდნელი, მაგალითად, კანონი, არის ფორმალური, სხვა, ვთქვათ, მაგიდასთან ქცევის ნორმები – არაფორმალურია. როდესაც ადამიანის ქცევა შეესაბამება როლით მოსალოდნელს, ის დებულებს სოციალურ წახალისებას (ფულს ან პატივისცემას **3.პარსონსმა**, ხუთ ძირითად მახასიათებლებზე დაყრდნობით გააკეთა როლების კლასიფიკაცია. 1.ზოგიერთო როლები მოითხოვენ ემოციურ თავშეკავებას, მაშინ, როდესაც სხვა როლი უშვებს გრძნობათა აშკარად გამოხატვას. 2.არსებობენ მიწერილი როლები, არსებობს მიღწეულიც.
3. ზოგიერთი როლი შეზღუდულია, სხვები დიფუზური ხასიათისაა..ზოგიერთი როლი გულისხმობს ადამიანებთან ურთიერთობას ფორმალური წესებით, სხვები ნებას რთავენ დაამყარონ არაფორმალური პირადი ურთიერთობები 5.განსხვავებული როლები დაკავშირებულია განსხვავებულ მოტივაციასთან.

4. არც ერთი როლი (ფორმალური თუ არაფორმალური) არ წარმოადგენს ქცევის მკაცრად ფიქსირებულ მოდელს. უფრო კი ქცევა არის შედეგი მოცემული პიროვნების მიერ როლური მოლოდინის გაგებისა. სიმბოლური ინტერაქციონიზმისა და ეთნომეთოდოლოგიის მომხრენი ხაზს უსვამენ როლით მოსალოდნელსა და ინდივიდის ქცევას შორის კავშირის მოქნილ ხასიათს.
5. როდესაც ადგილი აქვს ორი ან მეტი შეუსაბამო როლების ურთიერთდაპირისპირებულ მოთხოვნებს, ჩნდება **როლური კონფლიქტი**. ერთი და იგივე როლით შექმნილი დაპირისპირებული მოთხოვნები შეიძლება გახდეს როლური დაძაბულობის მიზეზი. არსებობს როლური კონფლიქტის დაძლევის რამდენიმე საშუალება: ზოგიერთი როლები უნდა ჩაითვალოს სხვა როლებზე მნიშვნელოვნად; განაცალკევო სახლი და სამუშაო ადგილი და ასევე როლები აქ; კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას ხელს უწყობ ხუმრობა.
6. **ინსტიტუტები** ეწოდება გარკვეული სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამიზნული როლებისა და სტატუსების ერთობლიობას. ადამიანები ვერ იარსებებენ გრძელვადიანი კოლექტივების შექმნის გარეშე. მარქსს მიაჩნდა, რომ თავიანთი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადამიანები ქმნიან პირობებს ერთობლივად ორგანიზებული მოღვაწეობის წყალობით, ამის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა. გამოყოფენ საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელ ექვს ელემენტს: 1.ურთიერთობა მის წევრებს შორის; 2.საქონლისა და მომსახურების წარმოება; 3.განაწილება; 4.საზოგადოების წევრთა დაცვა; 5.გამოკლებულ წევრთა შეცვლა; 6.მათი ქცევის კონტროლი.
7. **საქონლის წარმოებისათვის აუცილებელია ოთხი სახის საზოგადოებრივი რესურსი: მიწა, შრომა, კაპიტალი და ორგანიზაცია**. ერთი ან რამდენიმე სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებრივი რესურსების გამოყენების მიზნით, **ინსტიტუტები** ქმნიან ადამიანთა ერთობლივი მოღვაწეობის მდგრად ფორმებს. ინსტიტუტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადამიანთა მოღვაწეობის სტაბილიზაცია, რომლის საფუძველზე ყალიბდება როლური ქცევის მეტნაკლებად მყარი მოდელები.



8. სიტყვა „საზოგადოებას“ აქვს ბევრი განსხვავებული მნიშვნელობა. მარში შეეცადა გაერკვია პირობები, როდესაც სოციალური გაერთიანება იქცევა საზოგადოებად. ეს პირობებია: 1.მუდმივი ტერიტორია; 2.საზოგადოების შექმნა ძირითადად შობადობის ხარჯზე; 3.განვითარებული კულტურა; 4.„პოლიტიკური“ დამოუკიდებლობა. გ.ლენსკი და ჯ.ლენსკი გვაძლევენ საზოგადოების კლასიფიკაციას, დაფუძნებულს არსებობის საშუალებების მოპოვების ფორმებზე: მონადირეთა და შემგროვებელთა საზოგადოება, მებაღეობის, აგრარული და სამრეწველო.

9. ტიონისი იკვლევდა ადამიანთა კავშირების თავისებურებებს ტრადიციულ და თანამედროვე საზოგადოებებში და შემოიტანა „გემაინშაფტისა“ და „გეზელშაფტის“ ცნებები. პირველი ნიშნავს გლეხთა თემს, მეორე კი ინდუსტრიულ, ქალაქურ საზოგადოებას. მათ შორის შემდეგი ძირითადი განსხვავებებია:

1. „გემაინშაფტის“ ტიპის საზოგადოებაში ადამიანები ცხოვრობენ თემური აუცილებლობებით, „გეზელშაფტში“ – ყოველი ეფუძნება პირად მოგებას;
2. პირველი ეფუძნება ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებს, მეორე – ფორმალურ კანონებს;
3. პირველში შეზღუდულია სპეციალიზაცია, მეორეში ყალიბდება სპეციალიზირებული პროფესიონალური როლები;
4. პირველი ეფუძნება რელიგიურ, მეორე კი საერო ღირებულებებს;
5. პირველი ტიპის საზოგადოების მთავარი ინსტიტუტებია ოჯახი და თემი, მეორე ტიპის საზოგადოების საფუძველია დიდი კორპორაციები, ადამიანთა ასოციაციური გაერთიანებები.

### **სოციალური ჯგუფი და ორგანიზაცია:**

**ჯგუფი** ეწოდება ადამიანთა ერთობას, რომლებსაც ახასიათებთ ურთიერთობის გარკვეული სახე, გრძნობენ თავიანთ მიკუთვნებულობას ამ ჯგუფისადმი და სხვების მიერ აღიქმებიან ამ ჯგუფის წევრებად. ჩვენ ხშირად ვხსნით ამა თუ იმ ადამიანის ქცევას მისი რომელიმე ჯგუფის წევრობით, ამას ხშირად დაუსაბუთებლადაც ვაკეთებთ.

პირველადი ჯგუფები შედგებიან მცირე რაოდენობის ადამიანებისაგან, რომელთა ერთმანეთთან უშუალო ურთიერთმოქმედება ეფუძნება მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს. პირველადი ჯგუფების მაგალითებია ოჯახი, მეგობრული წრე ან ნებისმიერი ჯგუფი, რომლის წევრებს შორის ჩამოყალიბდა ღრმა ემოციური ურთიერთობა. მისგან განსხვავებით მეორადი ჯგუფი შედგება ადამიანებისაგან რომელთა შორის ჩამოყალიბებულია სუსტი ემოციური ურთიერთობა; მათი ურთიერთობა ექვემდებარება რაიმე მიზნის მიღწევას. პიროვნების ინდივიდუალურ, განუმეორებელ თვისებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მეორადი ჯგუფების ფუნქციონირებისათვის. ზოგჯერ პირველად ჯგუფები ყალიბდებიან მეორადი ჯგუფის შიგნით, ზოგიერთი პიროვნებებისაგან.

მიუხედავად მეორადი ჯგუფების ბატონობისა თანამედროვე საზოგადოებაში, პირველადი ჯგუფები კვლავ რჩებიან მნიშვნელოვან დამაკავშირებელ ძალად ადამიანსა და ცხოვრების უფრო ფორმალურ, ორგანიზაციულ მხარეს შორის. მეცნიერებმა აღმოაჩინეს ე.წ. ჰოტორნის ეფექტი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კვლევის თვით ფაქტი, ზემოქმედებს ჯგუფის წევრების ქცევებზე. ამ და სხვა აღმოჩენების წყალობით მათ გააკეთეს დასკვნა, რომ შრომის სფეროში „ადამიანური ფაქტორი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ჯგუფი – ეს არის ყველაზე მაღალორგანიზებული პრიმტების, ადამიანის ჩათვლით, გადარჩენის საფუძველი. სოციალიზაციის გარდა ჯგუფში სხვა მრავალი ფუნქციაცაა. **ინსტრუმენტალური ჯგუფი** იქმნება გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად, მაშინ, როდესაც **ექსპრესიული ჯგუფი** იქმნება მისი წევრების ემოციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯგუფის ზომა. **ღიაღები** (ორი ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფები), **ტრიაღები** (სამი ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფები), ლუწ და კენტრიცხოვანი ჯგუფები განსხვავებულად, მათთვის დამახასიათებელი წესებით ფუნქციონირებენ. ხუთკაციან ჯგუფებს ჩვეულებრივ არ აწუხებთ ის პრობლემები, რომლებიც სხვა ჯგუფებს სიცოცხლეს უწამლავენ.

### **ორგანიზაცია:**

რთულ საზოგადოებებში გარკვეული მიზნების მისაღწევად ჩნდება მრავალი ორგანიზაციის ან დიდი მეორადი ჯგუფების შექმნის აუცილებლობა.

**ქარიზმატული ჯგუფები** შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამაკავშირებელი პირველად ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის. თავიდან ეს ჯგუფები ხსასიათდებიან ცვალებადობით და ძლიერ ლიდერზე დამოკიდებულებით. წესებისა და ტრადიციების ჩამოყალიბების კვალდაკვალ ჯგუფი გადაიქცევა უფრო მოწესრიგებულ ორგანიზაციად.

**ქარიზმის რუტინიზაცია** – ეს ტერმინი ვებერმა შემოიღო ორგანიზაციის სტრუქტურის განვითარების აღსანიშნავად, რომელიც სამი ეტაპისაგან შედგება: კრისტალიზაცია, აღიარება და ინსტიტუციონალიზაცია. ამ პროცესის დასრულების შემდეგ ყალიბდება მდგრადი ნიმუშები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ჯგუფის წევრების ურთიერთობა ერთმანეთთან და სხვებთან.

ნებაყოფლობითი ორგანიზაციები ხასიათდებიან სამი ძირითადი ნიშნით:

1. მათი მიზანია წევრების საერთო ინტერესების დაცვა;
2. ორგანიზაციის წევრობა ნებაყოფლობითია;
3. ორგანიზაციას არა აქვს კავშირი სამთავრობო ორგანიზაციებთან.

ტოტალური ინსტიტუტები კი პირიქით, იქმნიებიან სახელმწიფოებრივი, რელიგიური და სხვა ორგანიზაციების ინტერესების დაცვის მიზნით. გოფმანი ტოტალურ ინსტიტუტებს დაყოფს რამდენიმე ტიპად:

4. საავადმყოფოები, სანატორიუმები, საქველმოქმედო ორგანიზაციები;
5. საკონცენტრაციო ბანაკები, საპყრობილებები;
6. სამხედრო ყაზარმები, გემები, დახურული სასწავლო ორგანიზაციები;
7. ქალთა და მამაკაცთა მონასტრები და თავშესაფარვები.

**ბიუროკრატია** არის ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაში გათვალისწინებულია:

როლების დანაწილება და შესაბამისი ადგილი ძალაუფლების იერარქიაში.

შრომის დანაწილება,

დაქვემდებარების გარკვეული წესრიგი,

საჯარო კანცელარიის არსებობა,

სპეციალისტთა და საშტატო თანამშრომელთა მომზადების ფორმალური მეთოდების გამოყენება,

გარკვეული წესების დადგენა,

თანამშრომელთა მხრიდან ორგანიზაციის აღიარების მოლოდინი.

ამ თავისებურებების გამო პროგნოზირებადია ბიუროკრატიული აპარატის თანამშრომელთა ქცევები და იძლევა საშუალებას მათი საქმიანობის კოორდინაციისათვის.

ბიუროკრატია გულისხმობს **შრომის სპეციალიზაციას**, რომლის ჩარჩოებში ყოველ თანამშრომელს ნათლად აქვს დადგენილი თავისი საქმე. ეს გადასვლა არასპეციალიზირებული შრომიდან სპეციალიზირებულზე ხელს უწყობს წარმოების ზრდას და კონფლიქტების მოგვარების საქმეს. ბიუროკრატიულ აპარატში გავლენის მოპოვება დამოკიდებულია **ინფორმაციის ფლობაზე**; წამყვან სპეციალისტებს დიდი გავლენა აქვთ, რადგან ისინი აკონტროლებენ ინფორმაციის გავრცელებას.

წესები განსაზღვრავენ თუ რას ელოდება ადმინისტრაცია თანამშრომლებისაგან; მათი გამოყენების წყალობით მცირდება პირდაპირი ზედამხედველობის აუცილებლობა. წესების სხვა ფუნქციები გულისხმობენ ადმინისტრაციის მოთხოვნების მიტანას თანამშრომლებამდე, ყველა დონის თანამშრომლის საქმიანობის მართვას, დასჯის დასაბუთებას, წესებისაგან გადახვევის შესაძლებლობას და დათმობებს ხელმძღვანელობის მხრიდან.

ორგანიზაციის ერთ-ერთი ნაკლია გაურკვეველობა მიზნებსა და მათი მიღწევის მეთოდებში. ორგანიზაციაში, რომელსაც საქმე აქვს ადამიანებთან და არა უსულო საგნებთან ძნელია იწინასწარმეტყველო ამა თუ იმ ქმედების შედეგები.

ორგანიზაციის სირთულეზე გავლენა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა მისი ზომა, ტექნიკური აღჭურვილობა, გარემომცველი სოციალური სინამდვილე და პროფესიონალების შრომის გამოყენება. ნაკლებად რთულ ორგანიზაციებს ახასიათებს ძალაუფლების ცენტრალიზაციის ტენდენცია და ნოვაციების შეზღუდვა.

ორგანიზაცია ჩვეულებრივ ხასიათდება საკუთარი ცხოვრებით. ორგანიზაციის პათოლოგიის ზოგიერთ სიმპტომებს შორის უნდა აღინიშნოს წესების განსაკუთრებით მკაცრი დაცვა და ორგანიზაციის დიდმასშტაბიანი მიზნების მივიწყება.

ძალაუფლებისადმი ბრმა მორჩილების მთავარი მიზეზია ადამიანებს შორის უსახური მიმართება. მათი შრომის შედეგებისაგან მუშაკების განსხვავების გზით, ბიუროკრატიას შეუძლია შექმნას რაღაც ნეიტრალური სივრცე, ძალზე ხელსაყრელი ადამიანების დასამორჩილებლად.

ირაციონალურ კონფლიქტს ორგანიზაციის შიგნით მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მუშაკების ინდივიდუალური თავისებურებები გავლენას ახდენენ მათ საქმიან კონტაქტებზე ყველა რანგის თანამდებობების პირებთან. რაციონალური

კონფლიქტის შესაძლებლობა ჩადებულია ყველა ორგანიზაციის სტრუქტურაში; რაციონალური კონფლიქტი არსებობს სამი ძირითადი ფორმით:

1. კონფლიქტი ირიბად კონკურირებად ქვეჯგუფებს შორის;
2. კონფლიქტი უშუალოდ კონკურირებად ქვეჯგუფებს შორის;
3. კონფლიქტი იერარქიის შიგნით, რასაც იწვევს დასაჯილდოებელთა შერჩევა.

ასეთი კონფლიქტების რეგულირება შემდეგნაირად ხორციელდება: თანამშრომლებთან ნორმალური, ადამიანური ურთიერთობების აღდგენით; კოოპტაციის საფუძველზე, ანუ ზოგიერთი კონფლიქტური თანამშრომლის მიწვევა გადაწყვეტილების მისაღებად; ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლა.

ორგანიზაციის ცხოვრება ასახავს საზოგადოების სტრუქტურას მთლიანად. ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა კანის ფერი, სქესი და ეთნიკური წარმომავლობა, შეიძლება ისეთივე გავლენა იქონიოს ადამიანებზე ორგანიზაციის შიგნით, როგორცაა აქვს მის გარეთ.

მიუხედავად ბიუროკრატის ნაკლოვანებებისა, ჩვენ იმდენად გავხდით მასზე დამოკიდებული, რომ, ალბათ, შეუძლებელია უიმისობა. ამიტომ მომავალში ჩვენ გველოდება ბიუროკრატული სივრცის უფრო გაფართოება.

#### **სოციალიზაცია, რესოციალიზაცია:**

**სოციალიზაციას** ე.ი. გზებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები იძენენ გამოცდილებას და ითვისებენ მათი სოციალური როლების შესაბამის განწყობებს, ნორმებს და ღირებულებებს, ორი მიზანი აქვს: ხელი შეუწყოს სოციალური როლების საფუძველზე ჩვენს ურთიერთობებს, და უზრუნველყოს საზოგადოების არსებობა ამ საზოგადოების სხვა წევრთა მიერ მასში არსებული ქცევისა და მოქმედების წესებისა და ნიმუშების ათვისების წყალობით.

ადამიანებს თითქმის არ აქვთ ქცევის თანშობილი მოდელები, მაგრამ მათ ყველა ცოცხალ არსებაზე მეტად ახასიათებთ რთული ჩვევები (მაგალითად ენის) ათვისების უნარი. **კულტურული ღირებულებები** – დაწყებული კანონებიდან კარგი ტონის დაუწერელი წესებით დამთავრებული – არეგულირებენ ადამიანთა ქცევებსა და მისწრაფებებს.

სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ გენეტიკური მიდრეკილებების ერთობლიობა ხელს უწყობენ ან აკავებენ ჩვენი ქცევების მიმდინარეობას. ამ თვალსაზრისის

შესაბამისად ქცევის ისეთი ტიპები, როგორებიცაა ალტრუიზმი, გაპირობებულია იმით, რომ ისინი ხელს უწყობენ სახეთა გადარჩენას, არსებობას, მაშინ როდესაც სისხლის აღრევა ამას ზიანს აყენებს. კრიტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არ არსებობს რაიმე დასაბუთება იმისა, რომ ქცევის განსაზღვრული სახეები გენეტიკურად არიან განპირობებული. ეს თეორია არ ითვალისწინებს იმას, რომ ადამიანთა ქცევებზე დიდ გავლენას ახდენს სიმბოლოთა გამოყენებისა და ბჭობა-გააზრების უნარი.

ისეთ ფაქტორთა ურთიერთობა, როგორებიცაა ადამიანის ფიზიკური თვისებები, გარემო, ინდივიდუალური გამოცდილება და კულტურა ქმნიან კიდევ უნიკალურ პიროვნებას. ჩ. კული თვლიდა, რომ პიროვნება ყალიბდება „სარკისებური მე“-ს წყალობით, ანუ იმის ინტერპრეტაციის მეშვეობით, რასაც ჩვენზე ფიქრობენ, ამბობენ, გრძნობენ სხვები. ჯ. მიდის თანახმად პიროვნების ფორმირების პროცესი მოიცავს სამ სტადიას: 1) იმიტაცია, ანუ ბავშვების მიერ ზრდასრულთა ქცევების კოპირება, 2) თამაშის სტადია, როდესაც ბავშვები ადამიანების ქცევებს აღიქვამენ როგორც როლების შესრულებას, 3) ჯგუფური თამაშის სტადია, როდესაც ბავშვები აცნობიერებენ ადამიანთა მთელი ჯგუფის მოლოდინებს.

ფროიდის მიერ შემოთავაზებული, პიროვნების განვითარების თეორიის თანახმად, პიროვნება მოიცავს სამ ელემენტს: **იდ-ს** – ენერჯის წყაროს რომელიც სიამოვნებისაკენ მისწრაფებით იკვებება; **ეგო-ს**, რომელიც „რეალობის პრინციპის“ საფუძველზე აკონტროლებს პიროვნების ქცევებს და „სუპერეგოს“ – რომელიც ზნეობრივ და შეფასებით ფუნქციებს ასრულებს. პიროვნების ამ სამი ელემენტის ფორმირება ოთხი სტადიის თანმიმდევრულ გავლას გულისხმობს: **ორალურის, ანალურის, ფალოსურისა და სქესობრივი სიმწიფის სტადიებისას**. თითოეული მათგანი დაკავშირებულია სხეულის განსხვავებულ ნაწილთან, რომელსაც ეროგენულობას უწოდებენ.

6. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის თანახმად, ბავშვები გადიან თანამედროვე სტადიების რიგს, რომელთა პროცესში ისინი იმ ახალ უნარებს ითვისებენ, რომლებიც განსაზღვრავენ მათთვის შესაძლებელი შემეცნების საზღვრებს. სტადიები ერთმანეთის მკაცრი თანმიმდევრულობით ცვლიან:

- ა) **სენსორტორული** (დაბადებიდან ორ წლამდე);
- ბ) **ოპერაციონალური** (ორიდან შვიდ წლამდე);
- გ) **კონკრეტული ოპერაციების სტადია** (შვიდიდან თერთმეტ წლამდე) და
- დ) **ფორმალური ოპერაციების სტადია** (თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე).

## რესოციალიზაცია

პრინციპი, რომლის თანახმადაც პიროვნების განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე აღმაგალი ხაზით მიემართება და იგება გავლილის დამაგრებისა და განმტკიცების საფუძველზე, არ არის გადაულახავი. მაგრამ პიროვნების ადრე ჩამოყალიბებული თვისებები, არ არის გამარადისებული ქვაში. **რესოციალიზაცია** ეწოდება ახალი ღირებულებების, როლების, უნარ-ჩვევების ათვისებას ძველი, ადრინდელი, არასაკმარისად ათვისებული ან უკვე მოძველებული როლების ნაცვლად. რესოციალიზაცია საქმიანობის მრავალ სახეს მოიცავს – კითხვის უნარის გაუმჯობესებიდან დაწყებული და მუშათა პროფესიული გადამზადებით დამთავრებული. ფსიქოთერაპიაც ასევე რესოციალიზაციის ერთერთი ფორმაა. მისი ზემოქმედების ქვეშ ადამიანები ცდილობენ გაერკვნენ თავიანთ კონფლიქტებში და ამ გაგების საფუძველზე შეცვალონ თავიანთი საქციელი და ქცევა.

11. სოციალიზაციის აგენტებს შორის აღსანიშნავია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სკოლების როლი. ზოგიერთი სატელევიზიო პროგრამა აფართოებს ბავშვების შემეცნებით უნარებს, მაშინ როდესაც ზოგიერთმა გადაცემამ შეიძლება უარყოფითი ქცევების სტიმულირება გამოიწვიოს. აზიარებს რა ისეთ ღირებულებებს, როგორცაა პატრიოტიზმი, სკოლა ამზადებს მათ საზოგადოების სხვა ღირებულებების ასათვისებლად.

### დევიაცია, ანომია,

ვცადოთ დევიაცია განსაზღვროთ როგორც ჯგუფური ნორმებისაგან გადახრა, რომელსაც მოსდევს იზოლაცია, მკურნალობა, დაპატიმრება ან სხვა სასჯელი.

მოცემული განსაზღვრების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დევიაციის სამი ძირითადი კომპონენტი გამოვყოთ:

ადამიანი, რომელსაც განსაზღვრული ქცევა ახასიათებს;

მლოდინი, ანუ ნორმა, რომელიც დევიანტური ქცევის შეფასების კრიტერიუმია, და რომელიც მეორე ადამიანი, ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომლებიც ქცევაზე რეაგირებენ. ადამიანთა ცხოვრების რეგულაციაში მნიშვნელოვან როლს სოციალური წესები და ნორმები თამაშობენ. ნორმები მართავენ მათ ქცევებს, მათ იციან თუ რას უნდა მოელოდნენ სხვებისგან და მათგან რას მოელიან. ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილება (ე.ი. მათი კმაყოფილება თუ იმედის გაცრუება), მეტწილად

შეესატყვისება სოციალური ნორმებით განპირობებულ მოლოდინებს. მაგრამ რადიკალური სოციალური ცვლილებების, მაგალითად საქმიანი აქტიურობის დაცემის ან შეუკავებელი ინფლაციის დროს ცხოვრებისეული გამოცდილება უკვე აღარ შეესატყვისება სოციალურ ნორმებში განხორციელებულ - გამოსატულ იდეალებს. ყოველივე ამის შედეგად ადამიანები დაბნეულობისა და დეზორიენტაციის მდგომარეობას განიცდიან.. მოულოდნელი დაცემა ან აღმასვლა დაკავშირებულია “წესრიგის დარღვევასთან”. სოციალური ნორმები ინგრევა, ადამიანები კარგავენ ორიენტაციას და - ყველაფერი ეს ხელს უწყობს დევიანტურ ქცევას.

სოციალური დეზორგანიზაცია დევიანტური ქცევების მიზეზია, საყოველთაოდ აღიარებულ რაიმედ ითვლება. ტერმინი “სოციალური დეზორგანიზაცია” აღნიშნავს საზოგადოების ისეთ მდგომარეობას, როდესაც კულტურული ღირებულებები, ნორმები და სოციალური

ურთიერთკავშირები უფასურდებიან, სუსტდებიან ან ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან

### **სტრატეგიკაცია და სოციალური მობილობა,**

განზოგადებული სახით ეს გამოიყურება შემდეგნაირად:

**უთანასწორობა** – ესაა პირობები, რომლის დროსაც ადამიანებს არათანაბარი ხელმისაწვდომობა აქვთ ისეთი სოციალური სიკეთეებისადმი, როგორებიცაა: ფული, ძალაუფლება და პრესტიჟი.

**სტრატეგიკაცია** – დაკავშირებულია იმ წესებთან, რომელთა მეშვეობითაც უთანასწორობა ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა. ამ დროს ყალიბდება საზოგადოების განსხვავებული ფენები.

**კლასი** – განპირობებულია იმ ჯგუფთა არსებობით, რომელსაც არათანაბრად მიუწვდებათ ხელი სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე, რომლებიც ასევე არათანაბარი პრესტიჟით სარგებლობენ. საზოგადოებაში დაკავებული ადგილი და მდგომარეობა კლასებს ზოგჯერ ძლიერი გავლენის მქონე პოლიტიკურ ჯგუფებად აქცევს.

### **ვერტიკალური ან ჰორიზონტალური მობილობა.**

ვერტიკალური მობილობა არის ინდივიდის სოციალური მდგომარეობის ცვლილება, რომელსაც თან ახლავს სტატუსის მომატება ან მისი დაქვეითება. როდესაც ადამიანი შედარებით მაღალ სტატუსს იძენს, ეს არის **აღმავალი ვერტიკალური მობილობა**; თუ



მისი დაქვეითება ხდება, მაშინ *დაღმავალ ვერტიკალურ მობილობასთან* გვაქვს საქმე. (მდივნის ხელმძღვანელ პოსტზე დანიშვნა და პირიქით).

რაც შეეხება ჰორიზონტალურ მობილობას, ეს არის სოციალური მდგომარეობის ცვლილება ისე, რომ სტატუსი არ იცვლება (ერთი სამსახურიდან მეორეში გადაყვანა იგივე თანამდებობაზე).

### **პოლიტიკური წყობა**

პოლიტიკური წყობა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც იდეოლოგიისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ახდენს პოლიტიკური მოღვაწეობის ფორმირებას საზოგადოების შიგნით. პოლიტიკური სისტემის საფუძველში დევს ძალაუფლების ცნება.

**ძალაუფლება** გულისხმობს შესაძლებლობას, საკუთარი ნება განავრცო სხვაზე, და მოახდინო რესურსების მობილიზება დასახული მიზნის მისაღწევად.

**ძალა** ეს არის ფიზიკური ზემოქმედების გამოყენება სხვებზე საკუთარი ნების გავრცობის მიზნით. ძლიერი ავტორიტეტი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ლეგიტიმური და ინსტიტუციონალურ-სამხედრო ძალაუფლება.

ვებერმა გამოყო ბატონობის სამი ტიპი:

**ხარიზმული,**

**ტრადიციული და**

**რაციონალურ-ლეგალური.**

**სახელმწიფო** - ეს არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც ფლობს რესურსებისა და საშუალებების გადანაწილებისათვის საჭირო ძალაუფლებას, ძალას და ავტორიტეტს. სოციალური კონფლიქტის მომხრეები სახელმწიფოს განხილვის დროს ძირითად ყურადღებას ამახვილებენ სხვადასხვა ჯგუფების ბრძოლაზე შუზღუდული რესურსებისათვის, მაშინ როცა ფუნქციონალიზმის თეორიაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური ძალაუფლების იმ ასპექტებს, რომლებიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე. მარქსი სახელმწიფოს განიხილავდა როგორც მმართველი კლასის ძალაუფლების დაცვისა და გაძლიერების საშუალებას. ფუნქციონალისტი პარსონსი გულისხმობს, რომ საზოგადოება ახდენს ადამიანური ბუნების ცივილიზირებას და მორალურ სრულყოფას. მისი აზრით პოლიტიკური ცხოვრება წარმოადგენს უფრო კოორდინაციის პროცესს და არა კლასებს შორის ბრძოლას რესურსების გაკონტროლების მიზნით.

**ტოტალიტარული** სახელმწიფოს ლიდერები ისწრაფვის ქვეყნის და ხალხის სრული კონტროლისათვის. ისინი ცდილობს გზა გადაუღობოს ძალაუფლებისაკენ ნებისმიერ ჯგუფს და ხელი შეუშალოს გახდეს შუამავალი მთავრობასა და ქვეყნის მოქალაქეებს შორის. ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ექვსი ძირითადი თავისებურება: იდეოლოგიის ფართო გამოყენება, ერთპარტიული სისტემა, ტერორის გამოყენება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონტროლი, იარაღის განკარგვა და ეკონომიკის მართვა. ამგვარად ტოტალიტარული სისტემა შლის ზღვარს საზოგადოებრივ და პიროვნულ სფეროს შორის და თრგუნავს ინდივიდუალურ ინიციატივას. სახელმწიფო ცდილობს აბსოლუტურად დაიმორჩილოს მოქალაქეები საზოგადოებაში ყველა სხვა ინსტიტუტის კონტროლისა და დათრგუნვის გზით.

**ავტორიტარულ** სახელმწიფოში ძალაუფლება კონცენტრირებულია მონარქის ან დიქტატორის ხელში, რომელიც მართავს ძალის გამოყენებით. პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგია თამაშობს განსაზღვრულ როლს, მაგრამ ტოტალიტარულ საზოგადოებაში განხორციელებულია უფრო მკაცრი კონტროლი ცხოვრების ყველა ასპექტთან მიმართებაში.

**წარმომადგენლობით დემოკრატია**, ეს არის სახელმწიფოს ფორმა, რომლის პირობებშიც ხალხი ახდენს განსაზღვრული ვადით საკუთარი ძალაუფლების დელეგირებას არჩეულ პირებზე, რომლებიც რაღაც პერიოდის შემდეგ გადარჩევას ექვემდებარებიან. ასეთი სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურება: ინდივიდუალიზმის დიდი მნიშვნელობა, კონსტიტუციონალური მმართველობის არსებობა, მართულთა მმართველობა, ლოიალური ოპოზიცია.

**პოლიტიკური სოციალიზაცია** წამოადგენს ევოლუციურ პროცესს, რომლის განმავლობაშიც ბავშვები და მოზარდები ითვისებენ იდეებს, ცხოვრებისეულ პოზიციებს და ქცევის მოდელებს, რომელიც დამახასიათებელია მათ გარშემო არსებული პოლიტიკური გარემოსათვის. სოციალიზაციის ძირითადი აგენტებია – ოჯახი, სკოლა და თანატოლები.